პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 4 მაისი, 1958 წელი
№ 53 (1223)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო





სურათებზე: მშრომელთა დემონსტრაცია თბილისში. მოდიან საქართველოს სპორტის სახელოვანი წარმომადგენლები. მარცხნიდან პირველ რიგში — ნ. დვალიშვილი, მ. ჯუღელი. მეორე რიგში — გ. კარტოზია, დ. ციმაკურიძე, გ. დარბაისელი, ბ. ნიკიტინი. მარჯვნივ—დემონსტრაციაზე ამაყად მოაბიჯებდნენ აგრეთვე მომავალი სპორტსმენები, ისინი, რომლებიც სულ მალე მხარში ამოუდგებიან ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# პირველი მაისის პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ზეიმით და სიხარულით შეხვდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს.

სადღესასწაულოდ მორთულია წითელი მოედანი, სადაც ტრადიციით გაიმართა სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია. სახელმწიფო უნივერმაღის შენობაზეა კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის უზარმაზარი პორტრეტები. წითელ ქსოვილებზე წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებათა შთამაგონებელი სიტყვები.

კრემლის კედელთან გრანიტის ტრიბუნებზე არიან ჩვენი ქვეყნის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე მრავალი უცხოელი სტუმარი.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს, ა. ნ. კოსიგინს, რომლებიც მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ავიდნენ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად მავზოლეუმის ტრიბუნაზე არის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი.

დილის ათ საათზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი იწყებს ჯარების ჩამოვლას. იგი ულოცავს მათ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს პირველ მაისს. შემდეგ თავდაცვის მინისტრი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

იწყება სამხედრო პარადი. მოდიან სამხედრო აკადემიების მსმენელები და მასწავლებლები, უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები,

სიყვარულისა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ დამსწრენი წითელ მოედანზე პარადის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებს — მოსკოვის და ტულის სუვოროვის სასწავლებლების, ლენინგრადის ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელებს.

რამდენიმე წამით წითელი მოედანი დაცარიელდა. მაგრამ უკვე მოისმის მოტორების გუგუნი. კრემლისა და ისტორიული გასასვლელებიდან შემოდიან მოტოქვეითი ჯარის კოლონები. წინა მანქანებზე საბრძოლო დროშებია. ჯავშანტრანსპორტიორებით მოდის მ. ი. კალინინის სახელობის ტამანის მექანიზებული დივიზია. მოედანზე შემოვიდნენ მედესანტეები. ისინი მოდიან გაზ-69 მარკის ავტომობილებით და მუხლუხა თვითმავალი დანადგარებით. მოდის კანტემიროვკის განთქმული სატანკო დივიზიის კოლონა. საბჭოთა ადამიანებმა და მათმა უცხოელმა სტუმრებმა დაინახეს რეაქტიული ქვემეხები, განთქმული „კატიუშების" მონათესავეები, რომლებმაც სახელი გაითქვეს დიდი სამამულო ომის პერიოდში.

პირველი მაისის სამხედრო პარადმა წითელ მოედანზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. მან ცხადყო, რომ შეიარაღებული ძალების პირადმა შემადგენლობამ ახალი წარმატება მოიპოვა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში. საიმედოდ, ფხიზლად დგანან ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების საგუშაგოზე.

* * *

მიწყნარდა სამხედრო ორკესტრების მარშების ხმა. მოკლე ხნის პაუზა. და აი მაისის დღის გამჭვირვალე ჰაერში აწკრიალდა ფანფარების ხმა. მათ ამცნეს ფიზკულტურელთა სვლის დაწყება.

სასპორტო საზოგადოებათა „დინამოს", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებების ფიზკულტურელები უჩვენებენ სპორტის სხვადასხვა სახეობებს, რომლითაც სახელი გაითქვა ჩვენმა ახალგაზრდობამ.

წითელი მოედნის შუაში გამოდიან ბავშვები. როცა მავზოლეუმს გაუსწორდნენ, ნორჩმა მოსკოველებმა აირბინეს ტრიბუნაზე და ყვავილები გადასცეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, საბჭოთა ქვეყნის აქ მყოფ სტუმარს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს.

წითელ მოედანზე ზეიმით, სიხარულით, მუსიკით და ცეკვით შემოდის დედაქალაქის რაიონების წარმომადგენელთა მოწინავე კოლონა. კოლონის თავზე აღმართულია მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. ფრიალებენ ალმები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა პორტრეტებით. მათ გარს არტყიათ წითელი დროშები— დაახლოებით ორი ათასი.

პირველ მაისის დემონსტრაციაზე დედაქალაქის მშრომლები უპატაკებენ, რომ მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა. დიდია მოსკოველთა წვლილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

მოედანზე მოდიან ქარხნების „სერპ ი მოლოტის" და „კაუჩუკის" სახელგანთქმული კოლექტივების კოლონები.

მშვენიერი სანახავია მოედანი, როცა იქ შემოდიან კრასნაია პრესნიას მშრომელები. მათ მოაქვთ ფერადი ქსოვილების ნიმუშები, რომლებსაც „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მუშები უშვებენ. მარტო ერთ თვეში — პირველი მაისის დღესასწაულისათვის კომბინატმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 300 ათასი მეტრი ქსოვილი.

მოედანზეა ტიმირიაზევის რაიონი. მის რიგებში არიან კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტები, მასწავლებლები, თანამშრომლები. მოდის მუხლუხა ტრაქტორის უზარმაზარი მაკეტი. მის თავზე არის წარწერა: „კოლმეურნეობისაკენ" დიახ, მთელ ჩვენს ქვეყანაში ახლა ტექნიკა მტს-ებიდან კოლმეურნეობებში გადადის.

მოზეიმეთა ახალ-ახალი ნაკადი შემოდის წითელ მოედანზე.

ტრიბუნებიდან კარგად მოჩანს ლენინის რაიონის ემბლემა. აქ არის ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრი — მეცნიერებათა აკადემია. გაისმის მისალმება საბჭოთა მეცნიერების პატივსაცემად, რომლებმაც განახორციელეს მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვება, და განამტკიცეს ჩვენი სამშობლოს პრიორიტეტი კოსმოსის სივრცის შესწავლაში. ბუნების დაპყრობას, საწარმოო ძალების განვითარებას, ადამიანთა კეთილდღეობასა და ბედნიერებას ხმარდება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევანი.

კოლონებს მოწყდა და ღრუბლებს სწრაფად მიეფარა ვერცხლისფერი ყუმბარები. ეს არის მეტეოროლოგიური რაკეტების მოქმედი მოდელები.

დემონსტრანტებს მოაქვთ ატომის უზარმაზარი მაკეტი. იგი გაიხსნა და იქიდან გამოფრინდა თოვლივით თეთრი მტრედი. იმავე წამს ცაში აფრინდა ათასობით მტრედი. კოლონების თავზეა მოწოდებანი „შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა"!

მწკრივების თავზე ვერცხლისფერი ფრთები გაუშლია „ტუ-104" მარკის თვითმფრინავის მაკეტს. მოედანზე მოდის მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის კონსტრუქცია, რომელიც სსრ კავშირში შეიქმნა, მოქანაობს ატომის ელექტროსადგურის გამოსახულება. კოლონებში ბევრია ახალგაზრდობა. მოსკოვის უნივერსიტეტის ემბლემით მოდიან საბჭოთა კავშირის მრავალი ეროვნების ქალიშვილები და ჭაბუკები, სხვა ქვეყნების სტუდენტები.

პირველი მაისის დღეს ჩვენი ხალხი— შემოქმედი და მშენებელი ხალხი, ძმურ სალამს უთვლის ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

ჩვენი ხალხის გმირული შრომით შექმნილმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ღირსეულად ჩააბარა ისტორიული გამოცდა და ცხადყო თავისი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. ჩვენი ქვეყნის მიერ გაკაფულ გზას უკვე დაადგა დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტი.

მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე გახდა იმ გამარჯვებათა დათვალიერება, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მან ცხადყო პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური წყობილების ძალის ცხოველმყოფელ წყაროს, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარს.

(საქინფორმი).





# ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების აყვავება

საზეიმოდ მორთული და ლამაზია ამ პირველი მაისის დილას საქართველოს დედაქალაქი. პროსპექტებზე, ქუჩებში, მოედნებზე უამრავი ხალხია.

ქალაქის მთავარ მაგისტრალზე — რუსთაველის პროსპექტზე ჩამწკრივებულია პარადისათვის მომზადებული ჯარები. საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინ დადგმულ ტრიბუნებზე არიან მოწინავე მუშები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძველი წევრები, რევოლუციის ვეტერანები, მეცნიერები, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე.

დაიწყო ჯარების პარადი. ათეულ ათასობით მშრომელი აღტაცებით ადევნებს თვალყურს კოლონების სვლას. ჩვენი შეიარაღებული ძალები — სსრ კავშირის ხალხთა პირმშო, ფხიზლად იცავენ სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს, დგანან მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

პარადმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

პროსპექტზე მოდიან დემონსტრანტები, მათ ხელში უჭირავთ დროშები, პლაკატები, დიაგრამები, პანოები. ხალხთა უზარმაზარ ზღვაში მოჩანს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტები. ტრადიციის მიხედვით პირველნი მოდიან ლენინის რაიონის ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები.

აი მოდიან რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს — კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის მუშები, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ტექნიკურ პროგრესში. მათ აითვისეს 200 ტიპის სხვადასხვა ჩარხის გამოშვება.

პატაკებით მიღწეულ საწარმოო გამარჯვებათა შესახებ გამოვიდნენ დემონსტრაციაზე 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენი ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. მათ მოაწყეს ჩაისსაკრეფი მანქანების, სამთო-საველე შასების — სამთო ტრაქტორების სერიული გამოშვება. ეს ორიგინალური მანქანები მსოფლიოში პირველად შექმნეს ქართველმა კონსტრუქტორებმა ხანგრძლივი და გულმოდგინე შემოქმედებითი შემართების შედეგად. მათი ნიმუშები ახლა წარმოდგენილია მსოფლიო გამოფენაზე ბრიუსელში.

მოდიან სტალინის, ოქტომბრის, კალინინისა და ქალაქის სხვა რაიონების მშრომელთა კოლონები. დემონსტრანტთა რიგებში არიან თბილისში ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი სამრეწველო საწარმოების — საინსტრუმენტო ქარხნის, ქარხნების „ელექტროავტომატის“, „ელექტროგამწევების“ და სხვა კოლექტივები.

აღმაფრთოვანებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსწავლეთა, პიონერთა, სტუდენტი ახალგაზრდობის, ფიზკულტურელთა კოლონები. მათ ხელში უკავიათ ყვავილები, ფერადოვანი ალმები, მათი შემოქმედების, ხელმარჯვეობის ნაყოფი, პლაკატები, ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია გულის [illegible] მომავალი სიტყვები: „[illegible] კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ბედნიერი ცხოვრებისათვის!“

ტრიბუნებიდან გულთბილად მიესალმებიან მრავალრიცხოვან კოლონებად მომავალ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათ შორის არიან მეცნიერი გეოლოგები, ფიზიოლოგები, მათემატიკოსები, ენათმეცნიერები, რომელთა შრომები ცნობილია შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

სადღესასწაულო დემონსტრაციაში გამოვიდნენ მსახიობები, მუსიკოსები, კომპოზიტორები, მწერლები, მხატვრები, მოსკოვში ამას წინათ გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი. მან ცხადყო ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მკაფიო აყვავება.

პირველი მაისის დემონსტრაციამ ახალი ძალით ცხადყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების მძლავრი აყვავება, მისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

* * *

სურათებზე: ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი ტანმოვარჯიშეები „მოსაბრუნე“ იარაღებზე ვარჯიშის დროს.

# ღირსშესანიშნავი ღონისძიება

◆

ა. ფალავანდიშვილი,
ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმითაა მოწოდებული — განვავითაროთ ფიზიკური კულტურა ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში. ცნობილია, რომ ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად მთელ რიგ რესპუბლიკებში განხორციელებულია ღირსშესანიშნავი ღონისძიებანი. ასე მაგალითად, გაზრდილია ფიზიკური კულტურის გაკვეთილისათვის განკუთვნილი ყოველკვირეულ საათთა რაოდენობა. (სამი, ორის ნაცვლად), გამოყოფილია წელიწადში ექვსი დღე მასობრივ ფიზკულტურული ღონისძიებებისათვის, იზრდება ბავშვთა სპორტული სკოლებისა და მასში არსებული სპორტული ჯგუფების რიცხვი და ა. შ.

ამ ღონისძიებების მიუხედავად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღეისათვის ფიზიკური სწავლება საშუალო სკოლებში არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. რასაკვირველია, შეიძლებოდა დაგვესახელებინა მთელი რიგი სერიოზული მიზეზები, რამაც განაპირობა არსებული მდგომარეობა, მაგრამ ჩვენი მიზანი დღეს სხვა თემის გაშუქებაა.

ჩვენი მიზანია გავამახვილოთ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ყურადღება იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის საკვლევი-სამეცნიერო ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის საკავშირო კომიტეტი, სახელდობრ, საშუალო სკოლებში ფიზიკური კულტურის სწავლების ახალი პროგრამაა, რომელიც შემოღებულ იქნება ახალ სასწავლო წლიდან. ამ პროგრამის პირველი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სკოლების სპეციალიზაციას ითვალისწინებს. ახლა მიმდინარეობს აღნიშნული პროგრამის გარჩევა ფიზკულტურული ორგანიზაციების, უმაღლეს და საშუალო სკოლების გამოცდილ მასწავლებელთა მონაწილეობით.

მეორე ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რომლის შედეგებიც გაამდიდრებს ახალ პროგრამას, არის მოსწავლე-ახალგაზრდების ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების შესწავლა, რაც ერთდროულად იწარმოებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ასეთი მასობრივი და ორგანიზაციულად არც ისე მარტივი ღონისძიების ჩატარება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს თუ ამ საქმით არ დაინტერესდებიან ფიზკულტურული, განათლებისა და ჯანმრთელობის ორგანიზაციები, პირველ რიგში კი სკოლების დირექტორები, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები და ექიმები იმ სკოლებისა, სადაც უნდა ჩატარდეს ეს გამოკვლევები.

აღნიშნული გამოკვლევების ჩატარების მიზანი მეტად საყურადღებო და ღირსშესანიშნავია. იგი ისახავს მიზნად მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების საკითხის მეცნიერულად დამუშავებას, აგრეთვე ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის პროგრამისა და ნორმატივების დამუშავებას.

სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურის კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება ამ ღონისძიების დროულად და ხარისხობრივად ჩატარების შესახებ.

ბრძანება ავალებს განათლების განყოფილებებს, სკოლის დირექტორებს, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და ფიზიკური კულტურის კომიტეტებსა და მათთან ერთად საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს, რომელსაც დაკისრებული აქვს მეთოდური ხელმძღვანელობა, განახორციელონ მათზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება დავალების ხარისხიანად შესრულებისათვის.

რა შეიცავს ფიზიკური განვითარების გამოკვლევას? ჩატარდება გადარჩეულ (ჯანმრთელობის ჯგუფის მიხედვით) ბავშვთა ანტროპომეტრიული გაზომვა სიმაღლესა, დგომსა და ჯდომში, წონა, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა (გულმკერდი), შემოწერილობა (ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა, პაუზა), ხელისა და წელზურგის ძალა და სხვ. მაშასადამე. განათლების და ჯანმრთელობის ორგანოები ვალდებული არიან ამ პერიოდისათვის მოაწყონ სკოლაში საექიმო კაბინეტები და უზრუნველყონ ისინი საჭირო ინვენტარით. ამის შემდეგ ჩატარდება აღნიშნული ბავშვების ფიზიკური მომზადების შემოწმება, რაც გულისხმობს — რბენას სხვადასხვა მანძილზე (30, 60, 500 და 800 მ) ასაკის მიხედვით, ხტომას სიგრძესა და სიმაღლეზე, ბაგირზე ცოცვას, ყუმბარის ტყორცნას, ღერძზე მიზიდვას და სხვ. აქ კი სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ვალდებულია მოამზადოს სპორტული ბაზები და თუ ეს სკოლას არ გააჩნია, დაუთმოს მას რაიონული ან საქალაქო ბაზა. გამოკვლევები ჩატარდება ერთდროულად 20 მაისამდე, შერჩეულ სკოლებში. სახელდობრ, თბილისში — 55-ე, მე-12, 77-ე და 87-ე სკოლებში, ბათუმში — მე-2 და მე-16, სოხუმში — 1-ლ და მე-6, ქუთაისში — 1-ლ და მე-13, სტალინირში — 1-ლ და მე-4, ზუგდიდში — 1-ლ და მე-2, ზესტაფონში — 34-ე, თელავში —1-ლ და მე-2, მახარაძეში — 1-ლ და მე-2, ონში — 1-ლ და მე-2, ოჩამჩირეში — 1-ლ და მე-2, დუშეთში — 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლებში.

აღნიშნულ ადგილებზე საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი მიავლენს ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და ექიმებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ამ ღონისძიების პრაქტიკულად ჩატარებას. რაიონებიდან სპეციალურად გამოიძახებენ ექიმებს, რომლებთანაც ჩატარდება სათანადო მეთოდური სემინარი.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სკოლების დირექტორები და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ხელმძღვანელები და საოლქო, საქალაქო და რაიონული ფიზიკური კულტურის კომიტეტები იხელმძღვანელებენ რა ადგილებზე დაგზავნილი ბრძანებებით, გაგვიწევენ მაქსიმალურ ყურადღებას და დახმარებას.

# სპორტული თამაშების პროგრამით

მონაწილეთა დიდი რაოდენობა მიიზიდა „დინამოს“ მძლეოსნურ სექტორებზე ფიზკულტურის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა შეჯიბრებამ მძლეოსნობაში, რომელიც სპორტული თამაშების პროგრამით იყო გათვალისწინებული და ტარდებოდა ფაკულტეტებს შორის. გარდა ინსტიტუტის სტუდენტებისა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტები, რაც შეჯიბრებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა.

როგორც წესი, შეჯიბრება 100 მეტრზე მორბენალმა ქალებმა გახსნეს, რომელთა შორის უძლიერესი იყო ა. ოვივიანი (საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტი) — 12,7 წამი. მანვე მოიგო სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა (5.57 მ და 1.40 მ), ხოლო 200 მეტრი გაირბინა 25,1 წამში, რაც პირველი თანრიგის ნორმატივის ტოლია.

საქართველოს ერთერთმა უძლიერესმა სპრინტერმა ლ. ანთაძემ (სპეცმომზადების ფაკულტეტი) ერთნაირი შედეგი — 10,6 აჩვენა წინასწარ და ფინალურ გარბენში, რაც მისი შედეგების სტაბილურობის დადასტურებაა. გამარჯვებულს სამი მეათედი წამით ჩამორჩა ზ. ჯარაშნელი (საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტი), მესამე იყო ჯვებენავა—11,5.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა გ. ვიბლიანმა (სპეცმომზადების ფაკულტეტი) — 185 სმ, ხოლო სიგრძეზე ვ. ჩხეიძემ — 6, 77 მ. 9 სანტიმეტრით უარესი შედეგი ჰქონდა ა. კობაშვილს, რომელსაც ამდენივეთი ჩამორჩა კონკურსგარეშე მონაწილე გ. გვინჩიძე.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა რბენა 800 მეტრზე. სტარტიდანვე დაწინაურებულ ვ. ივანოვს 600 მეტრზე წამოეწია და გაასწრო ნ. თვაურმა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვ. ივანოვმა ძალები სწორად გაანაწილა და მოსახვევზე ხელმეორედ გაასწრო რა მეტოქეს, ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა—1.57,9. ნ. თვაურმა ხუთი მეათედი წამით წააგო გამარჯვებულთან და რევანში 1.500 მეტრზე რბენაში აიღო — 4.13,4. მეორე იყო ვ. ივანოვი — 4.17,3.

110 მ. თარჯრბენში ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებთან ერთად კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უძლიერესი მძლეოსნები გ. გვინჩიძე და ი დიაჩკოვ-დუმბაძე. ორივე მონაწილემ გარბენი პირველი თანრიგის შედეგით დაამთავრა — 15,0. ფინიშის ხაზთან მკერდით წინ აღმოჩნდა ი. დიაჩკოვ-დუმბაძე, მესამე იყო გ. ვიბლიანი (სპეცმომზადების ფაკულტეტი). ქალებიდან 80 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ჯ. ოდილავაძემ—12,1. როგორც მოსალოდნელი იყო 800 მეტრზე რბენა ქალთათვის მოიგო საგაზაფხულო კროსის ჩემპიონმა 1.000 მეტრზე რბენაში ს. ნარმანიამ — 2.25,9.

ვ. ჩხეიძემ, ი. გიგაურმა და კონკურსგარეშე მონაწილე გ. ოჩიგავამ შუბი 60 მეტრზე შორს ტყორცნეს.

შეჯიბრების მსვლელობა აღინიშნა რესპუბლიკური რეკორდით ათჭიდში, რომელიც დაამყარა სპეცმომზადების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ვ. ხოლოდოკმა. მისი შედეგია 6242 ქულა, რომელიც პირველი თანრიგის ნორმატივს აღემატება. ქალთა შორის ხუთჭიდში გაიმარჯვა ჯ. ოდილავაძემ — 3599 ქულა.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტის კოლექტივმა 41590. მეორე ადგილზეა სპეცმომზადების ფაკულტეტი — 41463.

დანარჩენი ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები:** ამანათრბენი — 4×100 (საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტი) — 54,3. 400 მ. ნ. ცავა — 1.13,5, ბადრო გ. ბრიტვინა—37,45, ბირთვი გ. ბრიტვინა — 12,0, შუბი გ. ბრიტვინა — 41.20.

**ვაჟები:** ამანათრბენი — 4×400 (საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტი) — 3.44,6, 4×100 (საერთო ფიზმომზადების ფაკულტეტი) — 45,9. 200 მეტრი ზ. ჯარაშნელი — 22,6, 400 მეტრი ვ. მუსხელიშვილი — 56,2, 400 მ თარჯებით ნ. გაგოშიძე—1.03,0. 5000 მ. ვ. სუხანოვი — 15.53,0, 10.000 მ ი. უშაკოვი — 33.11,7, 3.000 მ დაბრკოლებებით ვ. სუხანოვი — 10.01,3, სამხტომი ო. ხოლოდოკი — 14,14 მ, ჭოკი ი. ვენცკევიჩი — 3,90, ბადრო ვ. ბლიაძე — 44,68, ურო ბ. ტალხანოვი — 52,82.

გ. სამსონაძე

# შექმნილია ფორმა და ინვენტარი

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აბაშის რაიონის სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი. აქ ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და ველოსიპედისტთა სექციები. სისტემატურად ტარდება მეცადინეობები, ეწყობა შეჯიბრებანი. კოლმეურნე ახალგაზრდების ძალებით მოეწყო სპორტული მოედნები, საჭიდაო სარბიელი და საცურაო ბილიკები. კოლმეურნეობის გამგეობამ ფიზკულტურელი ახალგაზრდებისათვის შეიძინა რამდენიმე ათასი მანეთის ფორმა და სპორტინვენტარი.

ი. თოფურია

ლელო
მე-2 გვ. № 53 (1223)



სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ბალავაძის ნაამბობიდან

# ოკეანის გაღმა

(დასასრული)

აი ეს წამიც! ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელისა და ქალაქ ნორმანის მერის მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ასპარეზზე პირველი წყვილი გამოდის — ჩვენი მირიანი და მისი „ძველი“ მეტოქე დელგადო. ეს უსანიშნავი მოჭიდავეები. დღემდე ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს საერთაშორისო სარბიელზე და ორივეჯერ დამარცხების სიმწარე ამერიკელს ხვდა. მაგრამ რა იქნება ახლა, როცა დელგადო, როგორც იტყვიან, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში?

გასვლის წინ ბიჭებმა სათითაოდ დაკარტყით მირიანს ბეჭებზე ხელი და „გზა დავულოცეთ“:

— აბა, შენ იცი, „ცალქა“, შენებურად!

„ცალქამ“ არ დააყოვნა... ტაშის გრიალი აყრუებდა უზარმაზარ ასპარეზს. ამერიკელები მხურვალედ მიესალმებოდა ყოველ ლამაზ და შედეგიან ილეთს. პირველი გამარჯვება ამერიკის მიწა-წყალზე.

... როცა ვალოდია არსენიანი სარჭიდაოდ გამოვიდა, ჩვენ კიდევ გვქონდა რაღაც იმედი: ეგებ სასწაული მოხდეს და იგი ერთბაშად გარდაიქმნეს ძველ ვალოდიად, ეგებ უკანასკნელ წამს გადაუაროს უქეიფობამ, სისუსტემ. ამაოდ. მას ვერ ვცნობდით. შებორკილივით მოძრაობდა ხალიჩაზე, თითქოს ხელებიც მოდუნებიაო.

სწორედ წინა დღით ჟოშიახლოვდა ფერმკრთალი ვლადიმერი და შეწუხებული სახით მკლავი გამომიწოდა:

— შეხედე, რას მიგავს მკლავები!

ხელი წავავლე და სახტად დავრჩი: მოდუნებოდა კუნთები. ვალოდია გადაიწვრთნა, გადაიღალა, ხოლო მძიმე მოგზაურობამ საბოლოოდ დაასუსტა. მეტოქე კი მეტად ძლიერი შეხვდა მას — ტ. მაკენი, ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე. იგი აშკარად რევანშისთვისაა განწყობილი და აგრესიულად უტევს ვლადიმერს. გადის 6 წუთი. უპირატესობა მაკენისაა. ის დგომში ირჩევს ჭიდაობის გაგრძელებას. გასაგებია ამ ტაქტიკის მიზანი: ადრეც ვთქვი — ჩვენი მოწინააღმდეგეები განსაკუთრებით ძლიერნი დგომში არიან. ორი წუთის შემდეგ ამერიკელი მიზანს აღწევს. ზუსტად იმ დროში, რომელშიც უმჩატესი წონის მისი თანაგუნდელი ბეჭებით შეეხო ხალიჩას, ის სუფთა გამარჯვებას აღწევს. მართლაც, კარგი რევანშია. მაგრამ იგი პირველი და უკანასკნელი იყო ამ დღეს ამერიკის მოჭიდავეთათვის.

მომდევნო წონებში ყველაფერი თავისი რიგით მიდის: სალიმულინი ქულებით ამარცხებს ახალგაზრდა ჯ. ჰოუკს. ასეთივე შედეგები აღინიშნა სინიავსკი-ნ. კოპლას და ბალავაძე-ბლუბოხის შეხვედრებში.

მომდევნო ბრძოლაში გოგი სხირტლაძემ გვასახელა განსაკუთრებით. ექვსი წუთის შემდეგ, როცა მისი არჩევანით, მეტოქე ჩოქბჯენში ჩადგა, გოგი თავისი საყვარელი, ნაცადი ილეთით, კისერსა და ფეხებზე ერთდროული იერიშით „მოჭმუჭნა“ ფ. დევისი და ბეჭებით დასცა ლეიბზე. კულაევმა ქულებით, მაგრამ დიდი უპირატესობით დაამარცხა ფ. როზენსმეიერი და ოთარ კანდელაკიც გ. რესლერთან ასეთივე გამარჯვებით დაკმაყოფილდა.

ამრიგად — 7:1 დამაჯერებელი გამარჯვებაა. ობიექტური მაყურებელი ტაშის გრიალით ხვდება მას, მისი ცალკეული წარმომადგენლები ამ დღიდან, ვიდრე უკანასკნელ შეხვედრამდე, ხშირად გვაჩერებდნენ ქუჩაში, მოდიოდნენ სასტუმროში, გასახდელ ოთახებში და მეგობრული ღიმილით ვინ იცის, მერამდენეჯერ გვიდასტურებდნენ დაახლოებით ასეთ აზრს:

— თქვენ მეტად ძლიერი სპორტსმენები ხართ და ბრძოლის შესანიშნავი სტილი გახასიათებთ. თქვენ ჭიდაობა სპორტულის გარდა, ცეკვისა და მუსიკის სიამოვნებასაც გვგვრიდა — ისეთ ტემპში და რიტმში მიგყავდათ იგი. დიდი მადლობა.

მესამე შეხვედრას, რომელიც ტულსაში ჩატარდა, მეტად ორიგინალური ცერემონიალი უძღოდა წინ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ინდიელებმა, ნაციონალური ორკესტრის თანხლებით ჩვენს საპატივცემლოდ შეასრულეს ინდური ცეკვა. შემდეგ, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს მოართვეს თუთუნით გატენილი უწვავი ხის ჩიბუხი, რომელიც მან, მეგობრობისა და ზავის ნიშნად, იქვე გააბოლა. შემდეგ, ქალაქის თავმა სიტყვით მოგვმართა და სტუმარ-მასპინძელთა შორის სუვენირების გაცვლა მოხდა.

16 აპრილს კვლავ თვითმფრინავში აღმოვჩნდით. მას გეზი ნიუ-იორკისაკენ ეჭირა. აქ, „ატლეტური კავშირის“ სპორტულ დარბაზში, უკანასკნელი, მეოთხე გამოსვლა გველოდა. მასპინძლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე — ანგარიშის შეცვლა სურდათ. ამ გარემოებამ თავი იჩინა ჩვენს მოწინააღმდეგეთა შერჩევაშიც, რაც ჭიდაობის ამერიკელი სპეციალისტების მიერ წინა შეხვედრების გულდასმითი ანალიზის, აწონ-დაწონისა და გარჩევის შედეგად მოგვევლინა. აი, კონკრეტული სურათიც: მესამე შეხვედრაში მირიანთან დელგადოს ფრემ იმედები მისცა მასპინძლებს და ნიუ-იორკშიც კვლავ ის მოგვევლინა მის მეტოქედ. არსენიანთან ტ. მაკენის გამარჯვებებმა არც ეს კანდიდატურა შეცვალა. სალიმულინს, სინიავსკის, სხირტლაძეს და კულაევს გამოუყვანეს სრულიად ახალი მოჭიდავეები, რომლებზეც ჩვენ წარმოდგენა არა გვქონდა და რომლებიც მთელი სამი შეხვედრის განმავლობაში ფარულად და გულმოდგინედ „სწავლობდნენ“ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. ესენი იყვნენ: ისრაელისა და ამერიკის ჩემპიონი მ. ედელმანი, ლ. ჯიონი, ჯ. პეკხემი და ბ. ფარელი. მე ორი შეხვედრის „გაუჩინარების“ შემდეგ კვლავ დ. ბლუბოჰი მომევლინა, ხოლო კანდელაკს ბ. კერსლეიკი შერჩა „ძველი ხურჯინივით“.

სახელმწიფო ჰიმნები... მისასალმებელი სიტყვები... მოლოდინის გუგუნი...

სარბიელზე კვლავ „ცალქაა“, ჩვენ შორის ყველაზე მჩატე კაცი. ის ხელს ართმევს დელგადოს და იწყება სწრაფი, ფიცხელი ბრძოლა. მირიანს ნეკნები ტკივა, მაგრამ ახლა ამას აღარ დაგიდევთ — იერიში იერიშზე მიაქვს თავის მხრივ აგრესიულად განწყობილ მეტოქეზე. წარმტაც ბრძოლაში იწურება დრო, რომელიც ცალქალამანიძის ბრწყინვალე სტილში გამარჯვებას გვამცნობს.

მძიმე შერკინებაში ქულებით მარცხდება არსენიანი — 1:1.

სალიმულინი ხვდება „იდუმალ“ მ. ედელმანს და თავის კარგად ცნობილი დაბეჯითებულობით უგებს მას. სინიავსკი „ტრადიციის“ ერთგული რჩება — მესამეჯერ ზედიზედ სუფთად იგებს ორთაბრძოლას, ამჯერად ახალ „უცნობ“ ლ. ჯიონთან. ანგარიში ხდება 3:1. მე და გოგი ხუთამდე ვზრდით მას. კულაევი მედგარ წინააღმდეგობას აწყდება ბ. ფარელთან შეხვედრაში. მეტოქე მეტად ძლიერია ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც. მძიმე ბრძოლაში გადის „რეგლამენტი“. გამარჯვება ისევ საბჭოთა მოჭიდავის მხარეზეა. შეხვედრას აგვირგვინებენ ყველაზე მძიმე და ყველაზე... მშვიდობიანი ადამიანები — ო. კანდელაკი და ბ. კერსლეიკი: მათი მესამე შეხვედრა საყაიმო შედეგით აღინიშნა. მაყურებელი კვლავ პატივისცემით მიესალმა ჩვენს გამარჯვებას.

ჩვენი ვალი ამჯერად ამოწურულია. წინ გვიდევს გზა ოკეანეზე გადავლით — ჩვენი ტკბილი და საყვარელი სამშობლოსაკენ.

და აი, ატლანტის ოკეანის „ნაცნობი მიდამოები“...

მე აქამდე არ მომიხსენებია ჩვენი შეხვედრათა უმთავრესი შედეგი, უმთავრესი გამარჯვება — გაცნობა, დაახლოება და მეგობრობა უბრალო ამერიკელ ადამიანებთან. ჩვენ მათ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით და ყოველ ნაბიჯზე ვულიმოდით მათი მეგობრული ღიმილის საპასუხოდ. ბევრი მათგანი ცდილობდა ჩვენთან საუბარს თარჯიმანისა თუ ჟესტ-მიმიკის ენით და ყოველი მათგანი გამოთქვამდა სიმპათიებს, მეგობრობის სურვილს საბჭოთა ადამიანებთან.

იხ. „ლელო“ №№ 50, 51.

## დიდი მატჩი

### ანგარიშით 12:10

1 მაისს შედგა XXI პარტია.

ბრძოლა თავიდანვე მშვიდად წარიმართა. სმისლოვი, რომელიც თეთრებით თამაშობდა, არ ამჟღავნებდა აგრესიულ განწყობილებას, ამიტომ ბოტვინიკმა ადვილად დაამთავრა ფიგურების განვითარება და შეუდგა თავისი პოზიციის განმტკიცებას.

მრავალრიცხოვან მაყურებელს, რომელიც თამაშს ესწრებოდა, სრულებით არ გაჰკვირვებია, როცა 23-ე სვლაზე სმისლოვმა მეტოქეს ყაიმი შეთავაზა. ბოტვინიკმა წინადადება მიიღო.

გუშინ შედგა მატჩის 22-ე პარტია. სმისლოვმა 39-ე სვლაზე მიაღწია გამარჯვებას. ამრიგად მატჩის ანგარიშია 12:10 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

## მშვიდობის ველორბოლა

დაიწყო მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლა, რომელშიც მონაწილეობენ ოცი ქვეყნის ველოსიპედისტთა უძლიერესი გუნდები.

ველორბოლის პირველ ეტაპზე გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტთა გუნდმა. მეორეზეა საბჭოთა კავშირის, ხოლო მესამეზე — იტალიის სპორტსმენთა კოლექტივი.

რბოლა გრძელდება...

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 4 | 4 | 0 | 22:10 | 12 |
| „ტორპედო“ | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ლოკომოტივი“ | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 10 |
| „დინამო“ კ. | 8 | 2 | 5 | 1 | 15:10 | 9 |
| ცსკ მო | 7 | 3 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| „დინამო“ მ. | 8 | 3 | 2 | 3 | 12:8 | 8 |
| „შახტიორი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| „ზენიტი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 7 | 3 | 1 | 3 | 11:21 | 7 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 7 | 1 | 4 | 2 | 6:8 | 6 |
| „მოლდოვა“ | 7 | 0 | 4 | 3 | 6:14 | 4 |
| „ადმირალტეეცი“ | 7 | 0 | 0 | 7 | 8:25 | 0 |

⊙ **მოსკოვი. 2 მაისი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „ტორპედო“ და „სპარტაკი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

⊙ **სტალინო. 2 მაისი.** ადგილობრივმა „შახტიორმა“ თავის მიხდორზე მიიღო კიევის „დინამო“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „შახტიორმა“.

⊙ **კუიბიშევი. 2 მაისი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) და „მოლდოვა“ (კიშინიოვი).

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

⊙ **ლენინგრადი. 2 მაისი.** ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი ლენინგრადის გუნდებს „ადმირალტეეცსა“ და „ზენიტს“ შორის.

მატჩი მოიგო „ზენიტმა“ — 4:2.

## მინიმალური ანგარიშით

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 2 მაისი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „შახტიორი“ (შახტი) — 1:0 (0:0).

„ბურევესტნიკი“: რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, სიჭინავა; იაშვილი, ხაზარაძე, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ხოჭოლავა.

„შახტიორი“: ივანოვი; საპრიკინი, რომანოვი, გოროხოვი; ფომინი, მენკოვი; კალინკინი, მიხალევი, გორბუნოვი, ბოგდანოვი, დომბაევი.

მსაჯი ა. ფალიანი (ბაქო).

ბრძოლამ მინდორზე თავიდანვე მეტად მწვავე ფორმა მიიღო. საერთო ინიციატივა ძირითადად „ბურევესტნიკის“ მხარეს იყო, მაგრამ თავდამსხმელები ვერ ახერხებდნენ ამ უპირატესობის რეალიზაციას და სტუმრების დაცვა წარმატებით იგერიებდა მოწინააღმდეგის შეტევებს.

რამდენიმე სახიფათო გარღვევა ჰქონდათ შახტელებსაც, რომელთაგან ერთ-ერთი კინაღამ გოლით არ დამთავრდა, მაგრამ რუხაძემ მოასწრო რეაგირება ბოგდანოვის დარტყმაზე და აიღო ბურთი.

ტაიმის დასასრულს ხაზარაძე სრულიად მარტო დარჩა კარის წინ და ვერ შეძლო ამ უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

ასევე უშედეგოდ გრძელდებოდა თბილისელთა შეტევები მეორე ტაიმშიც. ბოლოს, 33-ე წუთზე, ზეინკლიშვილი გავიდა მარცხენა ფრთაზე და ჩააწოდა კარის წინ. ბურთს მოუსწრო ხოჭოლავამ და გაიტანა იგი კარში.

ამ ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი თბილისის „ბურევესტნიკის“ სასარგებლოდ.

## თბილისის „დინამო“ ამარცხებს თასის მფლობელს

**მოსკოვი. 3 მაისი.** თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრამდე მოსკოვის „ლოკომოტივს“ არა ჰქონდა არც ერთი დამარცხება და 10 ქულით ლიდერთა შორის იმყოფებოდა. ამიტომ მატჩი თასის მფლობელთან სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა თბილისელთათვის.

გამოცდა გუნდმა ჩინებულად ჩააბარა. სულ 4 წუთი იყო გასული პირველი სასტვენიდან და გაგნიძემ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მე-16 წუთზე მელაშვილმა შესანიშნავი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 10 წუთის შემდეგ იამანიძემ კუთხური საჯარიმოდან გათამაშებული ბურთი კარში გაგზავნა — 3:0.

მეორე ტაიმი კვლავ დინამოელთა იერიშით დაიწყო და მალე იამანიძემ ანგარიში ოთხამდე აიყვანა. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მოსკოველებმა თამაში გარდატეხის შეტანა და 24-ე წუთზე გაქვითეს ერთი ბურთი. 31-ე წუთზე „დინამოს“ კარში 11-მეტრიანი საჯარიმოდან გატანილ იქნა მეორე გოლი, ხოლო ორი წუთის შემდეგ მცველთა შეცდომის შედეგად ანგარიში გახდა 3:4.

დარჩენილ დროში დინამოელები თამაშობდნენ უშეცდომოდ და ანგარიში შენარჩუნებულ იქნა. თბილისის „დინამომ“ მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება თასის მფლობელზე და გათამაშების ერთ-ერთ ლიდერზე. — 4:3.

თბილისელები ამ მატჩში თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: ს. კოტრიკაძე; ჩოხელი. სიჭინავა, ხოჭოლავა; ხუნდაძე, ლოლობერიძე, გაგნიძე, ბარქაია (ნორაკიძე), მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

## მათგან შეირჩევა უძლიერესი

როგორც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იტყობინება, საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრთა სია 40 სპორტსმენის შემადგენლობით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთის მსოფლიო პირველობისათვის საწვრთნელ შეკრებაში.

40 უძლიერესთა რიცხვში მოხვდნენ: გ. აპუხტინი, ვ. ბელიაევი, ი. ბელიაევი, ვ. ბუბუკინი, ი. ვოინოვი, გ. გუსაროვი ვ. ეროხინი, ვ. ივაკინი, ა. ივანოვი, ვ. ივანოვი, ა. ილინი, ა. ისაევი, ვ. კანევსკი, ვ. კესარევი, ი. კოვალიოვი, კ. კრიჟევსკი, ა. კრუტიკოვი, ბ. კუზნეცოვი, ნ. ლინიაევი, ა. მამედოვი, ა. მამიკინი, ა. მასლიონკინი, ვ. მასლაჩენკო, ს. მეტრეველი, ი. ნეტო, მ. ოგონკოვი, ლ. ოსტროვსკი, ე. როგოვი, ს. სალნიკოვი, ვ. საპრონოვი, ნ. სიმონიანი, ე. სტრელცოვი, ბ. ტატუშინი, ი. ფალიანი, გ. ფედოსოვი, ვ. ფომინი, ვ. ცარიოვი, ვ. შაბროვი, ლ. შიშკოვი და ლ. იაშინი.

დებულების თანახმად მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების დაწყებამდე რვა დღით ადრე ზემოდ ჩამოთვლილ სპორტსმენთაგან შეირჩევა პირველობის უშუალო მონაწილე 22 ფეხბურთელი.

კანდიდატთა სიაში შეყვანილია აგრეთვე ე. სტრელცოვი, რომელიც ადრე გამოყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან უდისციპლინობისათვის. პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ე. სტრელცოვის თხოვნა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ნაკრებისა და „ტორპედოს“ კოლექტივების შუამდგომლობა.

## ფეხბურთი

**კრასნოდარი. 2 მაისი.** (ტელეგრაფით). აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „ყუბანი“ შეხვდა სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდს (თბილისი).

მატჩი დამთავრდა კრასნოდარის „ყუბანის“ გამარჯვებით — 2:0.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისი

## მწვერვალზე

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტს შეუსრულდა არსებობის 25 წელი. საიუბილეო დღეებში ამავე ინსტიტუტში აღზრდილის, ცნობილი მთამსვლელის, სპორტის ოსტატ ლევან ახვლედიანის ინიციატივით მოეწყო, უსახელო მწვერვალის აღება. შედგა მწვერვალზე ამსვლელთა ჯგუფი რვა სპორტსმენის შემადგენლობით: ლ. ახვლედიანი (ჯგუფის ხელმძღვანელი), პედინსტიტუტის მუშაკი ა. არჯევანიძე, სტუდენტები: გ. გაბლიანი, ზ. ხორგულაშვილი, რ. ცინცაძე, მთამსვლელები ავ. ახვლედიანი, ა. ლოსაბერიძე და ლ. რატიანი. გადაწყდა ასვლა ეწარმოებინათ კავკასიონის ქედის, ყარაუგომის პლატოს ლესკეს მასივის უსახელო მწვერვალზე, რომელიც წარმატებით იქნა დაპყრობილი.

კავკასიონის ქედის ლესკეს მასივს კიდევ ერთი თეთრი ლაქა გამოაკლდა და ახლა მას ეწოდება მწვერვალი „ქუთაისის პედინსტიტუტი".

## აქ იწრთობიან

ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საინტერესო მუშაობას ატარებს სასახლის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება.

აქ იწრთობიან მომავალი ალპინისტები, კალათბურთელები, მოჭადრაკეები, ჩოგბურთელები...

საქართველოს მოწინავე სპორტსმენებს შორის ბევრია სასახლის კედლებში აღზრდილი.

გასულ წელს 100 ნორჩმა ალპინისტმა მოაწყო ლაშქრობა ხვამლის მთაზე (2.002 მეტრის ზღვის დონიდან). აღსანიშნავია, რომ „სსრკ ტურისტის" ნიშანზე მომზადდა 570 მოსწავლე, ხოლო „სსრკ ალპინისტის" ნიშანი მიიღო 22 მოსწავლემ.

გასულ წელს დიდი სიხარული განაცდევინა პიონერებს ნორჩმა მოჭადრაკემ გულნარა ბუცხრიკიძემ, რომელმაც მოიპოვა მოსწავლე გოგონებს შორის 1957 წლის საქართველოს ჩემპიონობა.

ნორჩ ფიზკულტურელთათვის ყოველთვის ღიაა სასახლის კარი.

**ზ. მესენგისერი**





**სურათებზე:** ალპინისტები მიემართებიან მწვერვალისაკენ. საჭადრაკო სექცია მეცადინეობს. ფოტო რ. ცინცაძისა და ვ. მეძველიასი.



ამას წინათ ფოთში გაიმართა რესპუბლიკის უძლიერეს ნიჩბოსანთა შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე. სურათზე თქვენ ხედავთ „განთიადის" სპორტსმენებს, რომლებმაც მეორე ადგილი მოიპოვეს ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით 10 კილომეტრზე შეჯიბრებაში.

## მილანი—მოსკოვი

მილანის საავტომობილო კლუბს განზრახული აქვს წელს მოაწყოს ავტო-ტურისტული გადარბენა მილანი-მოსკოვი. ამ ღონისძიების საორგანიზაციო საკითხები უკვე მოგვარებულია იტალიელ ავტომობილისტებისა და სსრ კავშირის სპორტისა და ტურიზმის წარმომადგენელთა კონფერენციაზე.

გადარბენას სტარტი მიეცემა 3 აგვისტოს მილანში და გაივლის ასეთი მარშრუტით: მიუნხენი-პრაღა-ვროცლავი-ვარშავა-ბრესტი-მინსკი-სმოლენსკი-მოსკოვი. სპორტსმენი ავტომობილისტები სტარტს აიღებენ ტურისტების შემდეგ, 6 დღის მოგვიანებით.

პირობის თანახმად ორივე ჯგუფი მოსკოვში უნდა ჩავიდეს ერთდაიგივე დღეს.

## დისკვალიფიკაცია

უნგრელი კალათბურთელი ქალი აგნესა პარტი დისკვალიფიცირებულია ერთი წლით. გარდა ამისა, მას საერთოდ აეკრძალა მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრებში, თუ ეს დაკავშირებულია საზღვარგარეთ მგზავრობასთან.

საქმე იმაშია, რომ ა. პარტის უპოვეს 150 წყვილი ნეილონის ჩულქი, რომლებიც მან გამოიტანა ბრაზილიიდან.




პრესის მიმოხილვა

რაც დრო გადის, სულ უფრო ცოტა დღეები რჩება ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ფინალური მატჩების დაწყებამდე. სულ მალე სტოკჰოლმში ჩამოვა 15 ფინალისტი (მეთექვსმეტენი თვით შვედები არიან) და დაიწყება ბრძოლა რიგით მეექვსე მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის.

მანამ კი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი და მასპინძლები — შვედები მოხამზადებელი საქმიანობით არიან გართული: უნდა მომზადდეს სტადიონები, სათამაშო მინდვრები, სასტუმროები, პრეს-ცენტრი და სხვა მრავალი.

1000-ზე მეტი კორესპონდენტი ჩამოვა მთელი მსოფლიოდან მატჩებზე დასასწრებლად. მრავალმა სატელევიზიო და რადიოკამპანიამ შეისყიდა უფლება აწარმოონ შეჯიბრებათა ტრანსლაცია. პირველი წრის შეხვედრათა დიდ უმრავლესობაზე ბილეთები უკვე განაწილდა და განაცხადებს აღარ ღებულობენ, ხოლო ნახევარფინალურ მატჩებზე ბილეთის შოვნა პრობლემადაა ქცეული, ვინაიდან შვეციას არ გააჩნია დიდი სტადიონები. „როსუნდას" სტადიონი იტევს მხოლოდ 55 ათას მაყურებელს, სტადიონი ჰეტებორგში იტევს 51 ათას მაყურებელს, მალმეში — 35 ათასს, ნორჩეპინგში — 33 ათას და ა. შ.

მსოფლიოს VI პირველობა წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის პროგრესის დათვალიერებას. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა სიახლენი მოამზადეს ცალკეულმა გუნდებმა, მაგრამ ცხადია, რომ ეს სიახლენი არის. მაგალითად, არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა სტაბილემ განაცხადა, რომ მისი გუნდი ევროპაში აჩვენებს თამაშის ახალ სისტემას, რომელსაც იგი „ჯაზურს" უწოდებს. მისი თქმით, ამ სისტემის ძირითადი არსია კოლექტიური და ინდივიდუალური თამაშის შერწყმის ახალი ფორმა. თუ რა არის ეს „ჯაზური" სტილი — ჯერჯერობით უცნობია. მას სპეციალისტები მხოლოდ შვეციაში იხილავენ. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ჰერბერგერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისი აზრით, გაიმარჯვებს არა სისტემა, არამედ მოთამაშეთა სპორტული ფორმა, ე. ი. რომელ გუნდსაც უკეთეს ფორმაში ეყოლება მოთამაშეები ამ დროისათვის (განსაკუთრებით მცველები) გაიმარჯვებს სწორედ ის.

გრძელდება დიპლომატიური ოპერაციები სხვა ქვეყნებში გაყიდულ მოთამაშეთა უკან დაბრუნებისათვის. ყოველ ფედერაციას უნდა, თუნდაც ჩემპიონატის პერიოდში, უკანვე მიიღოს ის ფეხბურთელები, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა გუნდებში თამაშობენ.

ასე დაიბრუნა უელსმა იტალიის კლუბ „იუვენტუსიდან" ჩარლზი, არგენტინა ცდილობს შეისყიდოს თავისივე გრილიო კუკჩიარინო მილანიდან, ბრაზილია ეპოტინება იულინგოს და სხვ. ინგლისის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ვინტერბოტომმა ამას წინათ კმაყოფილებით განაცხადა, რომ ის დიდი დანაკარგი, რომელიც ამას წინათ განიცადა ინგლისურმა ფეხბურთმა, უკვე თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია.

ფინალური ტურნირის ყველა მონაწილე შვეციაში უკვე უზრუნველყოფილია ბინებით, და არა ცენტრში, არამედ გარეუბანში, რათა ყოველ მათგანს ჰქონდეს შესაძლებლობა შეინარჩუნოს საკუთარი საიდუმლოებანი მოწინააღმდეგის სპორტული დაზვერვისაგან. ფეხბურთის სპეციალისტები ამჟამად საფუძვლიანად სწავლობენ მომავალ მეტოქეთა თავისებურებებსა და ძალას მათს საწვრთნელ შეხვედრებში.

ამ მოკლე ხანებში გაიმართა მთელი რიგი საწვრთნელი შეხვედრები ფინალისტთა მონაწილეობით. დიდ ინტერესს იწვევდა უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა, რომელიც სულ ახლახან შედგა ბუდაპეშტში. ეს მეტად დაძაბული შეხვედრა მოიგეს უნგრელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა არგენტინის ნაკრებმა გუნდმა მეორე დამარცხება განიცადა მოკლე ხნის მანძილზე. არგენტინელებმა ამჯერად ანგარიშით 0:1 წააგეს ასუნსიონში პარაგვაის ნაკრებთან. დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ინგლისის ნაკრებმა შოტლანდიელებთან შეხვედრაში — 4:0. აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრებში ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა თბილისელთათვის კარგად ცნობილი კევანი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" გუნდიდან.

უცხოეთის საფეხბურთო წრეებში დიდი ინტერესით მოელიან ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩს, რომელიც 18 მაისს შედგება მოსკოვში.

## გროსმაისტერი ი. კუპერმანი — მსოფლიო ჩემპიონის კანდიდატი

XIX საუკუნის დამლევიდან ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ასუჯრიანი შაში. მაშინვე დაარსდა მოშაშეთა საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც სისტემატურად აწყობს მსოფლიო პირველობის გათამაშებას და გამარჯვებულს ანიჭებს მაღალ სპორტულ წოდებას. საბჭოთა კავშირში ასუჯრიანმა შაშმა ომისშემდგომ წლებში აიდგა ფეხი. ამიტომ, იგი ჩვენში ჯერ კიდევ არასაკმაოდაა გავრცელებული, მაგრამ უკვე ჩატარებულია საბჭოთა კავშირის სამი პირველობა, გასულ წელს კი მოსკოვში პირველად მოეწყო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა ოსტატმა ი. კუპერმანმა.

ამას წინათ როტერდამში (ჰოლანდია) საერთაშორისო ფედერაციამ მოაწყო მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირი მსოფლიო ჩემპიონ კანადელ გროსმაისტერ მ. დელორესთან მატჩის სათამაშოდ. პრეტენდენტთა ტურნირში მიწვეულ იქნენ მსოფლიოს უძლიერესი მოშაშენი: ჰოლანდიის ჩემპიონი ოსტატი ვ. როზენბურგი, საფრანგეთის ჩემპიონი გროსმაისტერი, მ. იზარა, ბელგიის ჩემპიონი ოსტატი გ. ფერპოსტა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ი. კუპერმანი. ტურნირის საზეიმო გახსნისას მოშაშეთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ი. ვილენსმა გამოაცხადა, რომ ი. კუპერმანს თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭა საერთაშორისო გროსმაისტერის სახელი.

21 აპრილს გაზეთ „ჰეტ ფრიფოლკის" რედაქციის დარბაზში დაიწყო ბრძოლა. ჰოლანდიის პრესა ფართოდ აშუქებდა ტურნირის მსვლელობას, რომლისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ბელგიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან როტერდამში ჩამოსული შაშის მოყვარულები. ტურნირი ორ წრედ ჩატარდა.

თავიდანვე დაწინაურდნენ საბჭოთა გროსმაისტერი და ბელგიელი გ. ფერპოსტა. მესამე ტურში შედგა ლიდერების შეხვედრა. კუპერმანმა პოზიციურ სტილში ჩაატარა პარტია და გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ ი. კუპერმანმა ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. მას არც ერთი პარტია არ წაუგია და პირველი ადგილი დაიკავა.

მიმდინარე წლის ბოლოს ი. კუპერმანი მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს, გროსმაისტერ მ. დელორეს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02418